უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 04

2019 წ. „04“ 03

ქ. თბილისი

შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ქართულ-ევროპულ უმაღლეს სასწავლებელს (ს/კ: 404391537) გაუუქმდეს ავტორიზაცია.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 04 მარტის №2 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი და მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე

მდივანი
ნინო ხოლუაშვილი